პოკროვისა და ნოვოუზენსკის ეპისკოპოსი თომა საქართველოს მონასტრებსა და ტაძრებს ეწვია და სიწმინდეები მოილოცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 15.05.2025. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქის, კირილეს ლოცვა-კურთხევით, პოკროვის და ნოვოუზენსკის ეპისკოპოსი თომა მომლოცველობითი მოგზაურობით ეწვია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრებს. პოკროვსკის ეპარქიის საიტის **ცნობით,** ვიზიტი 1-დან 7 მაისამდე გაგრძელდა და მოიცავდა თბილისის მონასტრებისა და ტაძრების, ასევე საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთისა და სხვა ქალაქების სიწმინდეების მოლოცვას.

ქ. ბათუმში ეპისკოპოსი თომა ეწვია ბათუმის ეპარქიის ადმინისტრაციას, სადაც შეხვდა აჭარისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის და ჯვართამაღლების მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ

მაქსიმეს (ბეჭვაია).

შეხვედრა გაგრძელდა წმიდა სამების დედათა მონასტერში სტუმრობით. სავანის წმიდა სამების მთავარ ტაძარში მთავარეპისკოპოსმა ილოცა ღვთისმსახურების დროს.

შემდეგ ეპისკოპოსი თომა ქალაქ თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ ტაძარში გაემგზავრა. 1864 წელს აშენებული ძველი ტაძარი თბილისის ორი ეკლესიიდან ერთ-ერთია, სადაც წირვა-ლოცვა საეკლესიო სლავურ ენაზე აღევლინება. მღვდელთმთავარ თომას თბილად მიესალმა ტაძრის წინამძღვარი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი საქართველოში, დეკანოზი ვლადიმერ ალექსანდროვი და თაყვანი სცა ტაძრის სიწმინდეებს. ტაძრის დათვალიერების შემდეგ, ეპისკოპოსმა თომამ სულის განსასვენებელი ლიტია აღასრულა მარადსახენებელ მიტროპოლიტ ზინობის (მაჟუგა), პროტოპრესვიტერ იოანე ლოზოვისა და ბერდიდ სქემარქიმანდრიტ ვიტალისთვის (სიდორენკო).

ვიზიტი გაგრძელდა აღმოსავლეთ საქართველოში, ბოდბეში, წმინდა მოციქულთასწორ ნინოს სახელობის მონასტრის მოლოცვით. მღვდელთმთავარმა თომამ მოილოცა წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც თაყვანი სცა წმინდა მოციქულთასწორ ნინოს წმინდა ნაწილებს, ასევე, ილოცა ადგილზე განდიდებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე. მღვდელთმთავარმა დაათვალიერა უძველესი მონასტრის შენობები, სადაც თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში დავანებულია საქართველოს განმანათლებლის წმინდა ნაწილები.

მომლოცველთა შემდეგი პუნქტი იყო ღვთისმშობლის მიძინების სახელობის თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი, სადაც ივერიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – წმინდა ნინოს, მოციქულთასწორის, საქართველოს განმანათლებლის ჯვარია დაცული. სიონის საკათედრო ტაძარში ასევე დაცულია წმინდა მოციქულ თომას თავი და საქართველოს მრავალი სასწაულმოქმედი ხატი. სიონის საკათედრო ტაძრის სიწმინდეების თაყვანისცემის შემდეგ, მეუფე თომა თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში მდებარე კარის წმინდა გიორგის ეკლესიას ეწვია. ამ ტაძარში ეპისკოპოსმა თომამ თავისი სულიერი მამის, მარად ხსენებული იღუმენის, ტიხონის (ბარსუკოვი) ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გადაიხადა, რომელსაც იმ დღეს გარდაცვალებიდან ხუთი წელი შეუსრულდა.

ძველი ივერიის სიწმინდეების ლოცვითი თაყვანისცემა ძველ მცხეთაში გაგრძელდა, უძველესი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საპატრიარქო საკათედრო ტაძარი), ასევე, ჯვრის მონასტრის მოლოცვით. მე-4 საუკუნის უძველესი მონასტრის საკათედრო ტაძარში დაბრძანებულია უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, სასწაულმოქმედი ხატები და ქართველ წმინდანთა წმინდა ნაწილები.

მოციქულთასწორ წმინდა ნინოს სახელობის სამთავროს დედათა მონასტერი ცნობილია საქართველოს საზღვრებს მიღმაც. მეუფე თომამ თაყვანი სცა ღირსი გაბრიელის (უგრეხაძე) წმინდა ნეშტს. დიდ ბერს განსაკუთრებით პატივს მიაგებენ საქართველოში; აღესრულა ის 1995 წელს და წმინდანად შერაცხილ

იქნა უკვე 2012 წელს.

საქართველოს მონასტრებისა და სიწმინდეების მოლოცვის დასასრულს, ეპისკოპოსმა თომამ მცხეთასთან ახლოს მდებარე შიო-მღვიმის მონასტერი მოილოცა, დაათვალიერა ღირსშესანიშნაობები და თაყვანი სცა ღირსი შიო მღვიმელის წმინდა ნაწილებს და სავანეში დაცულ უძველეს სიწმინდეებს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93239/